

STEM კლუბი

ზოგადი აღწერა

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესში“, ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის ფარგლებში, ფუნქციონირებს STEM კლუბი.

იგი განკუთვნილია VI-XII კლასის მოსწავლეებისათვის.

კლუბის საქმიანობას წარმართავს კლუბის ხელმძღვანელი, ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის უფროსთან (ბათუმის შემთხვევაში კი, სამსახურის მენეჯერთან) თანამშრომლობით.

კლუბის შეხვედრები, თითოეული ასაკობრივი კატეგორიისათვის, იმართება კვირაში ერთხელ, გარდა არდადეგების პერიოდისა. ჩემპიონატებისა და სხვადასხვა პროექტისათვის მომზადების დროს კი - საჭიროებისამებრ.

კლუბის წევრები დებატობენ მასწავლების მიერ შეთავაზებულ ან/და მათ მიერ არჩეულ რეზოლუციებზე.

კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია.

STEM კლუბის ფარგლებში მოსწავლეები შეისწავლიან:

- რაოდენობრივ წიგნიერებას;
- ლეგობისა და სხვა კონსტრუქციების აწყობას;
- ანალიზის საფუძველზე სწორ დაგეგმვასა და განხორციელებას;
- ინჟინერიის საფუძვლებს;
- ელექტრონიკის საწყისებს.

კლუბის მიზანია პრაქტიკული პროექტებით, კონსტრუქტორებითა და თამაშებით მოსწავლეებში სივრცითი და პროგრამული აზროვნების განვითარება.

სახალისო ექსპერიმენტების დახმარებით, სიმულაციებით, კლუბის წევრები სწავლობენ:

- რობოტიკას;
- მოდელირებას;
- ინჟინერიას;
- კრიტიკულ აზროვნებას;
- ლოგიკურ ანალიზს;
- ელექტრონიკის საწყისებს.

კლუბის მუშაობის ფარგლებში მოსწავლეები:

- თავად ქმნიან პროდუქტს,
- ამუშავებენ დეტალებს და ქმნიან კონსტრუქციას;

- ერთმანეთთან აკავშირებენ მათემატიკის, ინჟინერიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესაბამის საკითხებს.

STEM კლუბის წევრები სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ჩემპიონატებს, კონკურსებსა და სხვადასხვა პროექტებში.